პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივნისი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 134 (14130)

ვიდრე სექტემბრის ზარი დარეკავდეს!..

სახალხო განათლების ფრონტზე არის ისეთი ობიექტიული უბანი, რომელსაც არ გააჩნია არდადეგები. ეს არის ბრძოლა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. არ არსებობს წლის ისეთი დრო ან სეზონი, რომელიც რაიმე შეღავათს აძლევდეს მშენებლებს, აგრეთვე იმათ, რომლებსაც ევალებათ სკოლების არა მარტო შენობებთან, არამედ სწავლა-აღზრდის პროცესისათვის საჭირო ყველა ნივთით, მასალით, ხელსაწყოთი, წიგნით, რვეულით, დგამ-ავეჯით, მთელი ინვენტარით უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ დარეკილი არ არის უკანასკნელი სასკოლო ზარი, არდადეგებიც არ არის დაწყებული, რომ სოფლად თუ ქალაქად გაჩაღებულია ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. აი ახლაც მთელი ძალით იგრძნობა რესპუბლიკაში მჩქეფარე მუშაობა მშენებლობებზე, მუშაობა იმისათვის, რომ დარჩენილი ორთვენახევარი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული სკოლების ჯეროვნად მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლისათვის.

ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რასაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთავრობა იჩენენ სკოლებისათვის, გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეპყროთ დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეს. ყურადღება — სკოლა, ბავშვი! — აი ასეთი დევიზით უნდა მუშაობდეს ყველა, ვინაც კი რაიმე საერთო აქვს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან.

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე დიდად გაიშალა სასკოლო მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ თუნდაც მარტო 1961-1965 წლებში რესპუბლიკის სკოლებს შეემატა 94 ათასი მოსწავლის ადგილი. 1966-1970 წლებში აშენდება 97 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

ყოველივე ამ სიკეთეს თვალნათლივ ხედავს ხალხი, მშრომელები უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ სკოლებისათვის, ბავშვებისათვის პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდი ზრუნვის გამო. დამახასიათებელია. მრავალთა შორის ერთ-ერთი წერილი, რომელიც რედაქციამ მიიღო თბილისიდან, ბულაჩაურის ქუჩა № 7-დან გვწერს მშრომელი ქალი ა. გოგებაშვილი.

— მუშობის ხასიათის მიხედვით ბზინრად მიწევს დავიარო ხოლმე სამშენებლო ობიექტები. გავუარო ხანავშვო ბაღს, VI და VII კვარტალებს შუა რომ არის. ყველა ბავშვი, — სუფთად ჩაცმული, ჯანმრთელი, — მბიარული ფრიალოლით თამაშობდა ხანავშვო ბაღის ლამაზად მოწყობილ ეზოში. ასეთი სიამოვნება, როგორიც ახლა ამ და მილიონობით მათ მსგავს ბავშვებს აქვთ, ეს მხოლოდ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგია. გიხარია ესოდენ ფართოდ გაშლილი მშენებლობა საცხოვრებელი ბინებისა, სკოლებისა...

ყოველი ახალი სასკოლო შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემა ნამდვილი ზეიმია მშრომელებისათვის. ეს არც არის გასაკვირველი. ჩვენი სკოლა ზრდის მომავალ თაობას. სწორედ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშობის გამაუმჯობესებელი ღონისძიებების შედეგია, რომ მივაღწიეთ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლის დამთავრებას, რომ ყველა პირობა იქმნება საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასასვლელად. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მივეცეთ თვითკმაყოფილებას. პირიქით, ეს გვავალებს მთელი ძალით გავაჩაღოთ მუშაობა. პარტიამ და მთავრობამ მომავალი ხუთწლედისათვის დასახეს სკოლების მშენებლობისათვის ასიგნებათა კიდევ უფრო გაზრდა, რათა უახლოეს წლებში მოისპოს სამცვლიანი მეცადინეობა სკოლაში, ხოლო მეორე ცვლაში მოსწავლეთა რიცხვი შეეამციროთ სულ ცოტა 20 პროცენტამდე.

ხუთწლედის ბოლოსათვის საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება ამოცანები უდიდეს საზრუნავს გვიჩენს. პირველ რიგში ეს გულისხმობს სასკოლო მშენებლობის გაფართოებას, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას. დიდია ამოცანები, რაც ამ მხრივ აკისრიათ საქართველოს სსრ მშენებლობის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამინისტროებს, საინიციატივო მშენებლობათა ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს.

მასწავლებელთა ამასწინანდელ რესპუბლიკურ ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოში არსებული 5.683 სასკოლო შენობიდან ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები მხოლოდ 2.100 შენობას აქვს. განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობებით უზრუნველყოფის საკითხი. მაგალითად, ქალაქ რუსთავში სბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ასაკის 13.440 ბავშვიდან სბავშვო დაწესებულებებით სარგებლობს მხოლოდ 4.039. საერთოდ, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში სბავშვო დაწესებულებები მეტად გადატვირთულია. ამას წინათ საქართველოს სრ უმაღლესმა საბჭომ თავის სესიაზე საეცაოლოდ განიხილა რესპუბლიკის სბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიიღო სათანადო ღონისძიებანი. გათვალისწინებულია ის სახიფათო ფაქტი, რომ, ცხოვრების პირობების სულ უფრო და უფრო მეტად გაუმჯობესების შედეგად, ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ დაწესებულებებში მისაღებ ბავშვთა რიცხვი. შესაბამისად იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი. 1.200-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 100.000 ბავშვი იზრდება.

საქართველოში ფართოდ გაიშალა და დამკვიდრდა ინიციატივიანი სასკოლო მშენებლობა. მთელ რიგ რაიონებში სკოლებს აშენებენ და რეკონსტრუქციას უკეთებენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სბჭოთა მეურნეობების ხარჯზე. ამ ტრადიციამ, ისევე როგორც მთელმა სასკოლო მშენებლობამ, ფართო განვითარება უნდა ჰპოვოს, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი და ჯეროვანი დახმარება გაუწიონ მშენებლებს, იმათ, ვინც აგებს ხარაჩოებს, აგურს აგურზე აწყობს, ვინც ისწრაფვის იმისათვის, რომ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩვენს ბედნიერ ბავშვებს ექნეთ ახალი და კეთილმოწყობილი სკოლები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ასამოქმედებელი ობიექტები. ცხადია, ახალი სასწავლო წლისათვის ჯეროვანი მზადება როდი გულისხმობს მხოლოდ სასკოლო მშენებლობას. აქედანვე უნდა გაჩაღდეს შრომა იმისათვის, რომ სკოლებს ჰქონდეთ საკმაო დგამ-ავეჯი, სასკოლო ინვენტარი, სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელმძღვანელოები...

იმაზეც, თუ როგორ მოვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის, ბევრად არის დამოკიდებული უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური ამოცანის შესრულება — საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რაც 1970 წლისათვის ძირითადად უნდა დამთავრდეს. პირველ რიგში საჭიროა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელი განხორციელება, იმის მოწვევა, რომ პირველ კლასში ჩარიცხული ყოველი ბავშვი ამთავრებდეს რვა კლასს.

ყურადღებას ნუ მოვაკლებთ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. ეს რომ ასე იყოს, საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს ახალი სასწავლო წლისათვის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მზადება.

არ უნდა დავივიწყოთ აღზრდის ცენტრალური ფიგურა — მასწავლებელი. ვიზრუნოთ იმისთვის, რომ სკოლები დაკომპლექტებულ იქნან მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, ისეთი ადამიანებით, რომლებსაც ძალუძთ აღზრდის რთული პროცესის ჯეროვნად წარმართვა.

სკოლა, მისთვის ზრუნვა ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი უბანია. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მთელი ძალით უნდა გაჩაღდეს.

სკოლას — საყოველთაო სახალხო ზრუნვა!

მაღალი წარმადობის მანქანები

ათზე მეტი დასახელების ძირითად პროდუქციის უშვებს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა. აქ დამზადებული ყურძნის გადამმუშავებელი ნაკადური ხაზები მაღალი წარმადობით გამოირჩევა; ისინი ღვინის პირველადი დამუშავების ქარხნებს საშუალებას აძლევენ შეუფყურხებლად გადამუშავდეს საათში 10-20-30 ტონა ყურძენი.

ძირითადი პროდუქციის გამოშვების გეგმები აქ ყოველთვის სრულდება. მიმდინარე წლის 5 თვის დავალებაც გადაჭარბებით არის განაღდებული. ტოგორც ქარხნის მთავარმა ინჟინერმა კ. კილაძემ აღნიშნა, იმ პერიოდში მანქანათმშენებლებმა 1 მილიონ 453 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და გეგმას 10 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

დიატომიტი გეგმის გადამეტებით

ახალციხე. (საკ. კორ.). აქაც-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დიატომიტის შახტის (უფროსი ნ. რაზმაძე) კოლექტივი დიდი აღმავლობით შრომობს ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

დიატომიტის მომპოვებლებმა ვადაზე ადრე განაღდეს ხუთი თვის დავალება, გეგმის გადამეტებით ამოიღეს 800 ტონა დიატომიტი.

განსვლილ ხუთ თვეში სასახელო შრომით ისახელეს თავი კომუნისტ ნ. პახომოვის ცვლამ, ვ. კაპანაძის მბგრეველთა და ა. ჭელიას გამყვანთა ბრიგადებმა.

ქების ღირსნი არიან დიატომიტის მნგრეველები პ. მოდებაძე, ჟ. კუტანიძე, ვ. ვასილიევი, რომლებიც 120-125 პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმას.

ვაღაზე ადრე

ბაგოვუშგაკ მეტი და მაღალი ხარისხის ფართო მოხმარების პროდუქცია, გადაჭარბებით შეგასრულოთ ყველა დავალება. ამ დევიზით შრომობს ხუთწლედის მესამე წელს ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში აქ დაწინაურდა ალუმინის საამქრო, სადაც ვადაზე ადრე განაღდეს 5 თვის გეგმა.

მაღალპროდუქტიერ შრომით თავი ისახელეს ლ. ფილიამ, კ. ლეონიძეიამ, მ. გოლუბმა, ხ. ლაშქარავამ, რ. დადიანმა და სხვებმა. მოწინავე მუშები ყოველდღიურ ნორმებს 120-130 პროცენტით ანაღდებენ.

ხ. კუჭავა.

სიახლე გრანიტის დამუშავებაში

ტყიბული. (საკ. კორ.). გრანიტის სამშენებლო ქვის დამუშავება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ყველაზე მეტად თხელი ფილების დამზადება ჭირს. ამ სამშენებლო მასალაზე კი ახალმშენებლობები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ.

კურსების მეგრანიტეები წინათ ასეთ ფილებს ხელით, პრიმიტიული წესით ამზადებდნენ. ამ ცოტა ხნის წინათ აქ წარმოებაში დაინერგა ლენტური ხერხი, რომელმაც შეცვალა ხელოსნის მძიმე შრომა, მაგრამ ასეთი ხერხი მცირე წარმადობისაა და არ ძალუძს ფილების დიდი რაოდენობით დამზადება. გარდა ამისა, ტექნიკურად არ ხერხდება 5 სანტიმეტრზე ნაკლები სისქის ფილის მიღება.

გრანიტის ქარხნის რაციონალიზატორმა ინჟინრებმა ვ. გოგოლაძემ, გ. ბადირეიშვილმა და უ. ნიშნიანიძემ შექმნეს ალმასის კბილებიანი წრიული ხერხის ორიგინალური კონსტრუქცია, რომელიც ამზადებს თხელ, ერთი სანტიმეტრი სისქის გრანიტის ფილას. ასეთი სამშენებლო მასალა მჩატეა და მას წარმატებით იყენებენ ნაგებობათა მოსაპირკეთებლად. გარდა ამისა, დაჩქარდა ქვის ხერხვის პროცესი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ნედლეულის დანაკარგი, გაიაფდა ფილები.

ახლა რაციონალიზატორები მრავალსაჭრისიანი წრიული ხერხის შექმნაზე მუშაობენ.

ივნისი ნაკადულ ბრიგადა ბრიგადა ბრიგადა

სიახლე იდეოლოგიურ მუშაობაში

საკოორდინაციო საბჭოების პირველი ნაბიჯები

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ზეიმმა მასების არნახული პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გამოიწვია. ამან საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას ხუთწლედის მეორე წელს წარმატებით შესულიყვნენ ხალხურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმები. საამშობლოს მიღწევებში ჩაქსოვილია ორგონიკიძის რაიონის მშრომელთა წვლილი. საიუბილეო წელი სახალხო მაჩენებლებით დაამთავრეს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, საბრწყვლო საწარმოებმა, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებმა. გადამეტებით შესრულდა სიმინდისა და მთელ რიგ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის, წველადობის გეგმები, სახელმწიფო შესყიდვის დავალებები, საზოგადოებრივ მეურნეობათა საერთო შემოსავალი 711 ათასი მანეთით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

ამ მიღწევებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეუმადლოდეთ მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუქმიბულებას, მისი ხარისხის ამაღლებას. მშრომელთა მიერ საბრძოლო ამოცანების ღრმად გაგება ხელს უწყობს მათ დარაზმვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გაღიდებას.

ხუთწლედის მესამე წელი მშრომელებმა ახალი აღმავლობით დაიწყეს. ისინი ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადამდე შესასრულებლად და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. ხოლო როცა მიზანი ნათელია და ამოცანები გარკვეული, საქმის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომუნისტებზე, მათი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონეზე, იმაზე, თუ რამდენად უკეთ გამოიყენებენ ისინი ხელსაყრელ პირობებს მასების შემოქმედებითი ინიციატივის განსავითარებლად.

განამტკიცონ და განავითარონ საუბილეო წელს დაწყებული აღმავლობა — აი საიოკენ არის მიმართული ახლა პარტორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა.

ორჯონიკიძის რაიონში მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეს ემსახურება 600-ზე მეტი აგიტატორი, 170 პოლიტინფორმატორი, 45 პოლიტიკური მომხსენებელი, 260 ლექტორი და პროპაგანდისტი, 200-მდე კულტ-საგანმანათლებლო დარგის და კინომუშაკი. ისინი დიდსა და სასარგებლო საქმიანობას ეწევიან. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო შარშან მათი ძალებით მოსახლეობაში მოეწყო 500-მდე პოლიტიკური მოხსენება, 1.500 ლექცია, 5.000-ზე მეტი კინოსეანსი და სხვა ღონისძიებანი.

მაგრამ, ეროგვარი მიღწევების მიუხედავად, მაინც ეგრძნობთ ამ საქმეში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებას, რაც სერიოზულად აფერხებს მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტს. ეს ნაკლოვანებანი უმთავრესად თავს იჩენს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ღონისძიებათა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დუბლირებით, პარალელიზმით, მოქმედების ხფერის შეზღუდულობით.

ცნობილია, რომ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ერთდროულად ეწევა რამდენიმე პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია, საზოგადოება „ცოდნის“ აღგილმრივ ლექტორთა ჯგუფი, საშუალო და რვაწლიანი სკოლები, სასოფლო კლუბები და ბიბლიოთეკები. მათ მიერ მოწყობილ ღონისძიებებს ემატება პარტიის რაიკომის, საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების, კომკავშირის რაიკომის ლექტორთა ჯგუფების, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და რაიონული კინოსქესის დირექციის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი.

მაგრამ იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არავინ არ ზრუნავს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ღონისძიებათა კოორდინაციისათვის, ამ საქმეში ადგილი აქვს პროპორციულობისა და გეგმაზომიერების დარღვევას, მოწყობილი ღონისძიებანი არ მოიცავს მთელ მოსახლეობას, ხშირად ღონისძიებათა დიდი ნაწილი ეწყობა კულმეურნეობის ცენტრში, მაშინ როცა პოლიტიკურ-აღმზრდელობით და კულტ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა განუმორეცელებლად რჩებიან საზოგადოებრივ მეურნეობაში შემავალი ცალკეული სოფლები ან დასახლებული პუნქტები.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასოფლო საბჭოში შემავალ ზოგიერთ კოლმეურნეობასა ან ორგანიზაციაში თვის მანძილზე 3-4 ღონისძიება ეწყობა, ხოლო სხვა კოლმეურნეობასა ან ორგანიზაციაში — არცერთი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სფერო ვერ სწვდება დიახასლისთა დიდ ნაწილს.

პარტიის რაიკომი და მისი ბიუროო დიდი ბონდომებით ეძებენ გზებს იდეოლოგიურ მუშაობაში შექმნილი ამ შეუსაბამობის თავიდან აცილებისათვის. რაიკომის ბიუროს მიმდინარე წლის 14 თებერვლის დადგენილებით კიცების, მოლითისა და ბორითის სასოფლო საბჭოებში შეიქმნა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოები, რომლებსაც ჩვენთან მხოლოდ 3-4 თვის ისტორია აქვთ, უკვე გამოიღო სასურველი ნაყოფი.

კარგად მოაწყო მუშაობა ბორითის სასოფლო საბჭოში არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ, რომელსაც ამ სოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ჟ. პაპასშვილი ხელმძღვანელობს. მოვიყვან ახეთ საგულისხმო შესადარ ციფრებს. გასული წლის თებერვალ-მაისში ბორითის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობების ცენტრებში მოეწყო 34 ლექცია, პოლიტიკური მოხსენება და 30 კინოსეანსი, რომელსაც 4.000 კაცი დაესწრო. ამასთან აღნიშნულ პერიოდში არც ერთი ღონისძიება არ მოწყობილა ამ სასოფლო საბჭოს ისეთ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში, როგორიც არის კვესრევი, ამაშუკეთი, ერეთა, ვაშლევი, ზინძიბოური და საღანძილე.

მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში კი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოწყობილ იქნა 68 ლექცია და პოლიტიკური მოხსენება, 45 კინოსეანსი, 8 გასვლითი კონცერტი. ამ ღონისძიებებს 10 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, ამასთან, რაც ყველაზე უურადსაღებია, ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში მოეწყო 15 ლექცია და პოლიტიკური მოხსენება, 8 კონცერტი, 3 კინოსეანსი

პოლიტიკური მოხსენებები, ლექციები, კინოსეანსები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი ახლა სისტემატურად ეწყობა მოლითის, კიცხის სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობათა ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში.

პარტიის რაიკომი ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს საკოორდინაციო საბჭოების მუშაობას, გულდასმით სწავლობს მათს საქმიანობას. პრაქტიკა ხვეწს საკოორდინაციო საბჭოების მუშაობას, მას სულ უფრო მეტი გარკვეულობა, გეგმაზომიერება შეაქვს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. საკოორდინაციო საბჭოებთან მუდმივი პრაქტიკული ურთიერთობით საბოლოოდ ჩამოყალიბდება მათი მუშაობის მეთოდები, ხერხები, გზები. ამის შემდეგ პარტიის რაიკომს გადაწყვეტილი აქვს არსებული საკოორდინაციო საბჭოების მუშაობის გამოცდილება დანერგოს მთელი რაიონული პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის პრაქტიკაში.

ჩვენ შემდგომშიც ყოველნაირად ვეცდებით მუდმივად სრულყოთ პარტიული მუშაობის მეთოდები და ფორმები, რაც სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ მიღწევათა მოპოვების საიმედო გარანტია იქნება.

შ. ჯოგლიძე,
საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი.

● პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა შექმნა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოები.

● სოფლებში იდეოლოგიურმა მუშაობამ მოიცვა მოსახლეობის ყველა ფენა, იგი უფრო სისტემატური, ქმედითი და მიზანსწრაფული გახდა.

ფაქტებისა და ციფრების ენით

პოლიტინფორმატორებს უმადლიან...

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ძაფსაღები საამქროს უფროსი პეტრე ჩიქვანაია ერთი იმათგანია, ვისაც კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა პოლიტინფორმატორის საპატიო მოვალეობა დააკისრა.

სწორად მოიქცა პარტიული ორგანიზაცია, ინფორმატორის ტრიბუნა ასე კვალიფიციურ და ავტორიტეტიან ადამიანს რომ დაუთმო. ფეიქრებს სულით და გულით უყვართ თავიანთი თავკაცი, რომელიც უკვე ოცდაექვსი წელია ამ საწარმოში მუშაობს და რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ძაფსაღები საამქროს კოლექტივი მარნან საიუბილეო სამასსხოვრო დროშის მფლობელი გახდა.

პოლიტინფორმატორ პ. ჩიქვანაიას ცოდნაც აყოფნის და გამოცდილებაც იმისათვის, რომ თავისი პოლიტიკური მომზადებით კარგი პროპაგანდისტის დონეზე იყოს. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა პოლიტინფორმატორის ამასწინანდელმა საუბარმა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პოლიტინფორმატორი პ. ჩიქვანაია მომზადებული წარსდგა მუშა-მოსამსახურეთა წინაშე, მოკლე საუბარში მან მარტივად და ნათლად, გასაგებად ილაპარაკა როგორც ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, ისე ფეიქრებისათვის ყველაზე მახლობელზე — საამქროს კოლექტივის წინაშე მდგომი სადღეისო ამოცანებზე.

საერთაშორისო ცხოვრების კვირეული მიმოხილვა რომ გააკეთა, მან თანმიმდევრულად გააშუქა ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ფაქტები, ამასთან მიუთითა მძლავრ საპრაგსტენ გამოსვლებსა და დემონსტრაციებზე, რომლებითაც მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამის საყოველთაო ბრძოლის დღე.

ვიეტნამის ამბებთან ერთად პოლიტინფორმატორს არც ისრაელის აგრესიისა ფაქტები გამორჩენია მხედველობიდან და არც ამერიკაში მიმდინარე წინასაარჩევნო აჟიოტაჟი...

საერთაშორისო თემაზე საუბარს რომ მორჩა, პოლიტინფორმატორმა ახლა საამქროს ცხოვრებიდან აღებული ფაქტები და ციფრები მოიმარჯვა. ამჯერად ინფორმატორმა საუბრის თემად ხამი აბრეშუმის ძაფის თვითღირებულების შემცირების გზები აირჩია. ძნელია მოკლე დროში ყველაფერზე დაწვრილებით ილაპარაკო, მაგრამ ის მთავარი და ძირითადი, რაც მან თქვა, დიდხანს ეხსომებათ ფეიქრებს.

— ამჟამად ჩვენი ძაფსაღები ხაამქრო, — დაიწყო პოლიტინფორმატორმა, — თვითღირებულების შემცირების დავალებას ასრულებს. კარგია, რომ ხამი აბრეშუმის ძაფის ნაწყვი ნორმით გათვალისწინებულ დონემდე, ე. ი. საერთო პროდუქციის 0,2 პროცენტამდე დავიყვანით. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ და კიდევაც უნდა შევამციროთ თვითღირებულება ნაწყვისა და დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის გზით. საამისო რეზერვები ჩვენს ხელთ არის. ამას მოწმობს თუნდაც აქვე, ჩვენს შორის მყოფი მოწინავე ადამიანის, ხვიული ძაფის მწმენდავების მაგალითი, რომლებმაც ნაწყვის ოდენობა 0,1 პროცენტამდე შეამცირეს. ყველა თქვენგანი იცნობს მათ.

— ციალა მიქაუტაძე, მალვინა ღვაბერიძე, ციალა ღონდაძე — მიაძახეს აქეთ-იქიდან პოლიტინფორმატორს.

— დიახ, — განაგრძო პოლიტინფორმატორმა, — ყველა ფეიქარმა უნდა მიბაძოს ამ ადამიანების მაგალითს. და მერე დაუმატა:

— ახლა კომბინატის ძაფსაღები წარმოების სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობით მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები იმისათვის, რომ მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გახდეს და ნაწყვის ოდენობა 0,1 პროცენტამდე შეამციროთ.

— ხოლო რას მოგვცემს ეს? — შეეკითხა პოლიტინფორმატორი მსმენელებს, და ახლა ციფრების ენით თვითონვე უპასუხა:

— ხამი აბრეშუმის ძაფის ნაწყვის 0.1 პროცენტამდე შემცირება ზუსტი ანგარიშით თვიურად 409 მანეთ და 50 კაპიკ ეკონომიას მოგვცემს, ხოლო წლიურად 4.914 მანეთს დაუზოგავს წარმოებას.

ღრმა და მზანსწრაფული გამოდგა პოლიტინფორმატორის ცოცხალი საუბარი. ასე ჩასწვდა მისი სიტყვები ადამიანთა გულსა და გონებას.

№ 1 საქსოფი საამქროს „ბ“ ცვლის პირველ უბანში სამოცამდე ფეიქარი მუშაობს. მათთან პოლიტინფორმატორად გამოყოფილია ამავე საამქროს მოწინავე მუშა, დეიმგამყოფელი მანია ბაკაძე. იგი დაუსწრებლად სწავლობს პოლიტეკონომიკური ინსტიტუტის ქსოფის ტექნოლოგიის სპეციალობაზე, მე-5 კურსის სტუდენტია და უბანში კი არა, მთელ საამქროში საერთო და პოლიტიკური მომზადების მაღალი დონით გამოირჩევა.

პოლიტინფორმატორმა მ. ბაჯაძემ ერთ-ერთ უკანასკნელ საუბარში ყურადღება გაამახვილა წარმოების კულტურაზე. მიუთითა, რომ № 1 და № 2 ბრიგადებში არ გაანჩიათ სპეციალური ადგილი მასრების მოღიანად გაწმენდისა და დამუშავებისათვის, რის გამო მასრებზე მისაკმელი ძაფის ნაწილი რჩება და, სამწუხაროდ, ნარჩენებად მიდის. ამ საუბრის შემდეგ სამუშაო ადგილები სწორად მოაწყეს, მასრებიც ბოლომდე მუშავდება. წარმოების კულტურის ამაღლებამ მინიმუმამდე შეამცირა დანაკარგები.

სწორედ ასეთი მრავალმხრივ მომზადებული პოლიტინფორმატორები გამოდიან ახლა ფეიქრების წინაშე და „ცდილობენ ისე წარმართონ ყოველი საუბარი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „ულათაიებოდ, უბრალოდ, ფაქტებითა და ციფრებით განვმარტოთ სოციალიზმის საკითხები“.

ყველაფრიდან ჩანს — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ სწორად გაითვალისწინა, რომ კარგად დაყენებულ პოლიტიკურ ინფორმაციაზე ბევრად არის დამოკიდებული საწარმოებრივი აზრისა და ადამიანების [illegible] ეფექტიანობა. [illegible] ეფექტიანი [illegible] ინფორმატორების [illegible] ინფორმატორი — სართავი, სარჩი და მექანიკური საამქროების უფროსები ბ. მოწვრელია, გ. ბოჭორიშვილი და ბ. რობაქიძე, კომბინატის ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ვ. მაროვა, მოსამზადებელი საამქროს ცვლის უფროსი თ. ბეწაია, ხარისის ინჟინერი ი. აბაშიძე და სხვ.

კომბინატის პარტიული კომიტეტი მარტოოდენ პოლიტინფორმატორთა შერჩევით როდი კმაყოფილდება. იგი ყოველდღიურად ზრუნავს მათი სწავლებისა და დახელოვნებისათვის და ამ გზით პოლიტიკური ინფორმაციის იდეური შინაარსის ამაღლებისათვის.

პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს პოლიტინფორმატორთა მოსამზადებელი სამთვიანი ტრენინგი, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილის რ. დოლონაძის ხელმძღვანელობით. კურსებზე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმისა და თემატიკის მიხედვით მუშაობს. ამასთან, კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა შეადგინა და სტამბური წესით დაბეჭდა „პოლიტინფორმატორის გლოსნტი“, რომელშიც ადირიცხება გაწეული მუშაობა.

პარტიული კომიტეტის ინიციატივით გამოცდილების გაზიარება-განზოგადების მიზნით ეწყობა პოლიტინფორმატორთა საუბრებზე ურთიერთდასწრება, ხოლო შემდეგ საუბრების განხილვა და ანალიზი. პარტიულ კომიტეტთან შეთანხმებით კომბინატის პოლიტიკური განათლების საზოგადოებრივი კაბინეტი ადგენს საუბრების ყოველთვიურ საორიენტაციო გეგმებს.

რა თქმა უნდა, ეს გეგმები გზადაგზა იცვლება ცხოვრებისა და მომენტის კონკრეტით. ამასთან საუბრების თემატიკა შეზღუდული როდია. პოლიტინფორმატორებს თვითონ აქვთ შესაძლებლობა საკითხები შექმნილი ვითარების შესაბამისად შეარჩიონ.

კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ფეიქარი“ და ადგილობრივი რადიოგადაცემათა რუბაქცია თავის მხრივ აწყობენ პოლიტინფორმატორთა გამოსვლებს, აქვეყნებენ ნასაუბრებს მათ დასახმარებლად. უკლებლივ ყველა პოლიტინფორმატორი უზრუნველყოფილია რეკომენდაციებით, სხვადასხვა ხასიათის მასალებითა და თვალსაჩინოებით.

პოლიტიკური აგიტაციის ამ მაღალი ფორმის დამკვიდრებისათვის რომ იბრძვის, აბრეშუმის კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ ხელი როდი აიღო აგიტატორთა ინსტიტუტზე, პირველად, კიდევ უფრო განაგრძეს და გააუმჯობესა აგიტატორთა შემადგენლობა. ახლა აქ 142 აგიტატორი მუშაობს, რომლებიც საამქროების პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ 7 აგიტკოლექტივში არიან გაერთიანებულნი.

თუ პოლიტიკური აგიტაციის დარგში გაწეულ მთელ ამ საქმიანობას შედეგებით გავზომავთ, თამამად შეიძლება ითქვას, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაკეთებელებამ კიდევ უფრო აამაღლა მშრომელთა აქტიურობა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავად ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ საყოველთაო შეჯიბრებაში.

შ. ჯაკობაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა ქართული კაპროლაქტამის პირველი და ძირითადი მომხმარებელია. ამ რამდენიმე წლის წინათ დაარსებული საწარმო თანდათან ფართოვდება. აქ დამზადებული ქიმიური ბოჭკო ანუ კორდი, როგორც მას უწოდებენ, ძვირფასი ნედლეულია მსუბუქი მრეწველობისათვის.

ქარხნის ქიმიური ბოჭკოს-ცხელი გაგიმვის საამქროში ხდება ერთ-ერთი მთავარი პროცესი — ძაფის დახვევა-დაგრება და გაგიმვა.

სურათზე: საამქროს ცვლის ოსტატი ი. ბუთურაშვილი და მგრეხავი ნ. ხალიმეტოვა ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

დავიცვათ სოციალისტური საკუთრება

ჭუბურხინჯელი კომბინაციორები

რატომ დასჯირნობენ თავისუფლად დამნაშავეები?

დღეს ეს ამბავი ფართოდ არის გავრცელებული გალის რაიონში, შექმნილია სისხლის სამართლის მრავალტომიანი საქმე. დაიწერა ბევრი სარჩელი, განცხადება, პროტესტი სხვადასხვა ინსტანციაში. კომეპურნეებმა კ. გოთოლენდიამ, მ. მინჭორაიამ, ი. გოთოლენდიამ და სხვებმა ერთი ასეთი სარჩელი ამას წინათ რედაქციამ მიიღო.

მთელი ეს ამბავი კი ერთი პატარა, სრულიად უმნიშვნელო საწარმოს გახსნით დაიწყო.

აფხაზოოკეანეურის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა გალის რაიკავშირის გადგომის თხოვნა და ნება დართო სოფელ ჭუბურხინჯში ლუფის დამამუშავებელი საამქრო გაეხსნათ. ეს იყო 1964 წლის ნოემბერში.

ამ სახელგახელოდ შეიკონწეულმა საწარმომ მხოლოდ ექვსიოდე თვეს იარსება. მთელ მის ქონებასა და ავლადიდებას შეადგენდა რამდენიმე საკერავი მანქანა, ოცი ვენური სკამი და ერთი საწერი მაგიდა.

ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ასეთი საამქროდან ვინმე რაიმეს მოიპარავდა, ათასობით მანეთის სახელმწიფო ქონებას მიიტაცებდა. მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, ასე მოხდა და ეს დადასტურებული და დამტკიცებულია უტყუარი დოკუმენტებით.

საამქროს გამგედ ზუგდიდის რაიონიდან „მოიწვიეს“ ვინმე ლევთერ შელია.

საწარმოს გახსნიდან მხოლოდ რამდენიმე თვე გავიდა. 1965 წლის მარტში რაიკავშირის რევიზორ-ბუხგალტერმა ა. პაპასკირმა საამქროში მორიგი აღწერა მოახდინა და გამოავლინა დიდი დანაკლისი ნედლეულისა (1.600 კილოგრამი პირველი ხარისხის ლუფისა); რომლის საერთო ღირებულება 21.120 მანეთს შეადგენდა. ამის შესახებ მან სათანადო აქტი წარუდგინა რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ჯახაიას და რაიკავშირის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორს კ. ბასარიას.

საამქროს გამგე, ლ. შელია მიხვდა, რომ თუ დანაკლისს არ დაფარავდა, პასუხისგებაში მიეცემაო თავს ვერ დაალწევდა, ამიტომ მივიდა რევიზორთან და უთხრა:

— ახლა გამახსენდა, ეს 1.600 კილოგრამი ლუფა აგერ მაქვს შენახული ციხის სოფლის კოოპერატივის საწყობში.

— მერე რას უდგახარ, წადი და მოიტანე! — უპასუხა რევიზორმა.

— მოტანა რა საჭიროა, საწყობში აგიღია მაინც აქა მაქვს, — მიუგო შელიამ. — ა, ბატონო, დოკუმენტი. — და რევიზორს წინ დაუდო ბეჭედდასმული ქაღალდი, რომელიც დასტურდა, რომ ციაშის სოფლის კოოპერატივის საწყობის გამგეს შალვა ოსეფის-ძე კაკულიას გალის საწარმოო კომბინატის ექსპედიტორ ხუტა ნაპოს-ძე ჩილაჩავას მიერ მიბარებული ჰქონდა 1.400 კილოგრამი ლუფა.

— კი მაგრამ, ჩილაჩავა რა შუაშია? — იკითხა რევიზორმა.

— ჩილაჩავა ჩვენი ექსპედიტორია. როცა ვეტყვი, მომიტანს.

რევიზორმა მაინც არ დაუჯერა. არ დაუჯერა აგრეთვე რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მთავარმა ბუხგალტერმა რ. ყოლბაიამ. მაგრამ „გულმოწყალე“ აღმოჩნდა რაიკავშირის მთავარი ბუხგალტერი კ. პერტენავა. მან შელიას გამოართვა ქაღალდი და იქვე მიაწერა: „მაპასუხეს. მიიღეთ ეს ხელნაწერი როგორც საქონელი“.

რევიზორმა ესეც უარყო და ამით დიდად გაანაწყენა საამქროს გამგე, რაიკავშირის მთავარი ბუხგალტერი და სხვა ხელმძღვანელები. მაშინ შელიასთვის უბატონოდ ხმა რომ არავის გეცა, რაიკავშირის გამგეობამ დანაკლისში ნაჩენები თანხა 21 ათასი მანეთი ავიზოთი უკან დაიბრუნა.

ამჯერად სახელმწიფო ქონების დამტაცებელი სისხლის სამართლის პასუხისგებას გადაურჩა. მაგრამ როდემდის შეიძლებოდა 21 ათასი მანეთის დამალვა. ამოდენა სახელმწიფო თანხას მას ვინ შეარჩენდა. ამიტომ ლ. შელიამ გადაწყვიტა საქმე შინაურულად მოეგვარებინა, საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ხუტა ჩილაჩავასთან.

— არ გინდა საამქროს ჩაგაბარო? ხომ იცი, რა მომგებიანი საქმეა.

— კი მინდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— დანაკლისი რომ გაქვს?

— დანაკლისი შენ უნდა დაფარო. ახა როგორ მუქმად გინდოდა ჩაგეგდო ხელში ამხელა საქმე!

— დანაკლისი როგორ დავფარო, ამდენი ფული სადა მაქვს! — გაშალა ხელები ჩილაჩავამ.

— ნაღდ ფულს არც გთხოვს ვინმე. შენ ოღონდ ჩაიბარე საამქრო და დანაკლისის დაფარვა იკისრე, სხვა ყველაფერი მოგვარდება, თუ იყოჩაღებ, ერთ სეზონში გაასწორებ ვალს და მოგებაც დაგრჩება.

— თანახმა ვარ, მაგრამ რაიკავშირში დაგვთანხმდებიან? 21 ათასი მანეთი დანაკლისება გაქვს, არ გაგიშვებენ ასე იოლად. — დაეჭვდა ხ. ჩილაჩავა.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, რაიკავშირში საქმეს მე მოვაგვარებ.

მართლაც ყველაფერი მოაგვარეს. გალის რაიკავშირის გამგეობამ ლევთერ შელია, რომელმაც 21 ათასამდე მანეთი მიითვისა, უმტკივნეულოდ გათავისუფლა ჭუბურხინჯის ლუფის საამქროს გამგის თანამდებობიდან და მის ადგილზე ხუტა ჩილაჩავა დანიშნა.

ხ. ჩილაჩავა, რომელმაც პირობის თანახმად იკისრა დაფარა ეს თანხა, გალურსული იყო, არც დანაკლისზე ამბობდა რასმე, არც უალბ ხელწერილზე, რადგან იმედი ჰქონდა ლუფის დამზადების სეზონი დადგებოდა, და ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა. მაგრამ ამასობაში მილიციის ორგანოებამდე მიაღწია ჭუბურხინჯის ლუფის საწარმოში მომხდარმა ამბებმა. შეამოწმეს საამქრო და, ცხადია, დანაკლისი აღმოჩნდა. ეს ის ძველი, შელიასეული დანაკლისი იყო, მაგრამ ხუტა ჩილაჩავა „პირობის“ კაცი აღმოჩნდა, ვალის გასწორება თვითონ იკისრა. დატრიალდა, კოლმეურნეებისაგან ნისიად შეიძინა ლუფა და დანაკლისის ანაზღაურებლად საწყობში შეიტანა...

მაგრამ დანაშაულის კვალის დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო. გალის რაიონის პროკურატურამ დაძნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

1966 წლის მაისში საქმე გაარჩია გალის სახალხო სასამართლომ და საქმე ხელახლი გამოძიებისათვის დაუბრუნა რაიონის პროკურატურას. თავიდან დაიწყო გამოძიება, ბრალდებულთა და მოწმეთა დაკითხვა. მაგრამ ამასობაში ლ. ჯახაიას განცხადების საფუძველზე საქმე გამოითხოვა აფხაზეთის ასსრ პროკურატურამ, რომელმაც პროტესტი დაწერა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს გადასცა ზედამხედველობის წესით განხილვისათვის. უმაღლესმა სასამართლომ პროტესტი დაკმაყოფილა. ხელახალი გამოძიებისათვის საქმე აფხაზეთის ასსრ პროკურატურას დაუბრუნდა, აქედან კი კვლავ გალის სახალხო სასამართლოს გადაეცა. აქ ორჯერ დაინიშნა პროცესი და ორჯერვე გადაიდო, შემდეგ კი ბრალდებულთა სხვადასხვა მოსაზრებების გამო საქმე განსახილველად ქალაქ ტყვარჩელის სახალხო სასამართლოს გადაეცა. აი უკვე სამი წელია ასე გადადის ხელიდან ხელში და პიანურდება სისხლის სამართლის ეს საქმე.

გამფლანგველები ჯერაც არ არიან გასამართლებული და დასჯილი.

კოლმეურნეებს კი, რომლებმაც საამქროს ლუფა ჩააბარეს, ფულს არავინ უჭდის. როგორც იტყვიან, ისინი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.

ი. გოგეჩია,
მ. მიქაძე.

მთელი ცხოვრება — სოფლის მეურნეობას

საბჭოთა კავშირის ჟ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარეს ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვს შეუსრულდა 60 წელი.

8 ივნისს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქმეთა დარბაზში გაიმართა იუბილარისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ი. სარიშვილმა. მან გულთბილად მიულოცა იუბილარს დაბადების 60 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

ი. ხოხლოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. სეხნაძემ.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ მრავალი დაწესებულების, ორგანიზაციის, ინსტიტუტის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელნი.

ი. ხოხლოვმა შეკრებილთ მადლობა გადაუხადა. (საქდუსი).

მუზეუმი მთებისაკენ

ყიზლარიდან იალაღებისაკენ

წამოვიდა 359.761 სული ცხვარი

ყოველი გაზაფხული, განსაკუთრებით კი აპრილი და მაისი, ქართველ მეცხვარეთა საყვარელი და პასუხსაგები თვეებია. ვინაიდან ამ დროს უკვე ნათელია დოლის შედეგები, იწყება ცხვრის პარსვა და ცხვრის ფარები მიეშურებიან შობლიური მთებისაკენ.

წელს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების 359.761 სულმა ცხვარმა გამოიზამთრა, ქართველ მეცხვარეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი შრომა გასწიეს ცხვრის კარგად გამოზამთრებისა და მიღებული მოზარდის მთლიანად შენარჩუნებისათვის, მათ ყოველ 100 ნერბზე 78,7 ბატკანი შეინარჩუნეს და ცხვრის საერთო რაოდენობა კიდევ 130 ათასი სულით გაადიდეს. მეცხვარეების წინაშე ვალში არც ჩვენი რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოები დარჩენილან. ყოველნაირად უწყობდნენ მათ ხელს მაღალი მიჩვენებლების მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, ჩვენ მიერ მოპოვებული მიჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალია და ვერ აკმაყოფილებს წყაროებულ მოთხოვნებს, უკანასკნელი სამი წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1966 წელთან შედარებით 1968 წელს ყიზლარის საზამთრო საძოვრებით მოსარგებლე რაიონების ცხვრის მთლიანი რაოდენობა 49.433 სულით გაიზარდა, მაგრამ არ გაზრდილა და ზოგ შემთხვევაში შემცირდა ნამატის მოღება და შენარჩუნება. მნიშვნელოვნად გადიდდა ცხვრისა და ბატკნის საკვდილიანობა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყიზლარის საზამთრო საძოვრების გაუმჯობესებას და წესიერად გამოყენებას.

ჩვენზე მომაგრებული 314 ათასი ჰექტარიდან საძოვრად განკუთვნილია 259 ათასი ჰექტარი, რომელზეც ზამთრობს 359.761 სული ცხვარი. იქ იმყოფება 3.500-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 800-მდე ცხენი. თუ ყველა სახის პირუტყვს ცხვარზე გადავიანგარიშებთ და კერძო სექტორში მყოფი პირუტყვის რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ერთ

საუკთესო ცხოვრება

საფრანგეთის ამბები

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 10 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იუწყება:

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲣᲐᲚᲐᲛᲔᲖᲣ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ. 23 ᲓᲐ 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲘᲚᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲛᲯᲔᲠᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲞᲘᲔᲠ ᲛᲘᲨᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲔᲕᲠᲝᲞᲐ-1“.

ᲓᲦᲔᲡ „ᲚᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐ“ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲠᲐ ᲓᲐᲐᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ 487-ᲘᲐᲕᲔ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲬᲠᲔᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ. ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲓᲘᲛᲔᲓᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ, ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲚᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲒᲐᲜᲪᲮᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲘᲠᲩᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲔᲓᲜᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲗᲘᲗ ᲤᲘᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲜᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲖᲔ. ᲡᲘᲤᲘᲜᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲣᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲠᲐ ᲓᲐᲯᲐᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲓᲘᲛᲔᲓᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲛᲪᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲔᲕᲠᲝᲞᲐ-1“ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔᲑᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ნაირ-ნაირი

შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონია

ყოველი მუსიკალური ნაწარმოები ორჯერ იბადება. პირველად თვით კომპოზიტორის შემოქმედებით „სახელოსნოში“, სახოტო ფურცლებზე, მეორედ კი — საკონცერტო ესტრადაზე, უკვე მეტყველი, ხორცშესხმული.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის ღია კონცერტზე შესრულდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის **შალვა მშველიძის** ახალი ნაწარმოები — **მეოთხე სიმფონია**, რომელიც ავტორმა ოქტომბრის 50 წლისთავის დიად თარიღს მიუძღვნა.

ოთხი ათეული წლის წინათ მოვიდა ქართულ მუსიკაში ეროვნული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი შალვა მშველიძე. თვითმყოფი, განუმეორებლად ინდივიდუალური მუსიკალური ენით, თავისთავადი შემოქმედებითი მანერითა და სტილით, რომლის ყველაზე სპეციფიკური თავისებურება ერთი მხრივ ეპიკური ბუნებაა, ხოლო შეორე მხრივ საქართველოს მთის მუსიკისათვის დამახასიათებელი სურნელება და კოლორიტი.

კომპოზიტორის შემოქმედებას თან სდევს განსაკუთრებული სწრაფვა მონუმენტური სიმფონიური ჟანრისაკენ და ეაყას უკვდავ გენიით შთაგონებული „ზვიადური“ და „მინდია“ ამის მკაფიო მაგალითია.

კომპოზიტორმა ქართულ მუსიკაში პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ეპიკური სიმფონიზმი; დიდი სამამულო ომის პეროდში შექმნილი ორი სიმფონია აღსავსეა მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით. ორატორია „კავკასიონი“ შალვა მშველიძემ კავკასიის გმირ დამცველებს მიუძღვნა. სიმფონია „სამგორი“ საინტერესო ნაწარმოებია და სიმფონიურ ეპოსში ახალი — თანამედროვეობის გმირული შრომის თემატიკა მოიტანა.

შალვა მშველიძის ახალი სიმფონია საზეიმო-ეპიკური ხასიათისაა. ნაწარმოები პროგრამული არ არის, მასში ვერ ვიპოვნით მოვლენათა სურათოვან აღწერას, მაგრამ ნაწარმოების სახოვანი შინაარსი, ფერადოვანი ემოციურობა, მუსიკალური მასალის განვითარების ხასიათი, ბრწყინვალე კულმინაციები ნებას გვაძლევს მისი საერთო კონცეპციის შესახებ ვისაუბროთ.

სიმფონიის გმირი თანამედროვე საბჭოთა ადამიანია, ადამიანი მშრომელი, მოაზროვნე, ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის მშენებელი. ნაწარმოების რელიეფური, ძარღვიანი მუსიკა საბჭოთა ხალხის მიღწევებზე, შრომითი გმირობის ამბებზე მოგვითხრობს, მათ განცდებსა და აღტყინებას გადმოგცემს. სიმფონიის სამივე ნაწილში დღევანდელი დღის ტემპი და რიტმი, ჩვენი დროის დრამატიზმი და დაძაბულობა იგრძნობა.

სიმფონიის პირველი ნაწილი, რომელიც კლასიკური ალეგროს ფორმაშია გადმოცემული, საზეიმო ხასიათს ატარებს. მასში ლაკონიური, რელიეფური თემატური მასალით, კონკრეტული და ძალზე კოლორიტული სორკესტრო ფერებით გადმოცემულია სიცოცხლისა და სიხარულის ზეიმი, ტრიუმფალური ფინალი კი დიდი საზეიმო სვლაა, რომელშიც ბრწყინვალე კულმინაციას აღწევს არა მარტო მთელი სიმფონიის მუსიკალური მასალის ფერადოვანი თემატური და დინამიკური განვითარება, არამედ თვით კომპოზიტორისა და შემსრულებლის მაღალი ოსტატობაც. ფინალის მთავარი სიტყვა რიტმია. საზოგადოდ სიმფონიის რიტმული ენერგია ისეთი დიდია, რომ ზოგჯერ სუნთქვა გვეკვრის და გვეჩვენება, რომ დინამიკის კვლავაც



საიუბილეო სიმფონია

მასალით, კონკრეტული და ძალზე კოლორიტული სორკესტრო ფერებით და, რაც მთავარია, დინამიურად არის გადმოცემული საბჭოთა ხალხის ცხოვრების ნათელი, ოპტიმისტური აღქმა.

სიმფონიის მეორე ნაწილს კომპოზიტორის პირადი მოგონებებია. და განცდების სფეროში გადავყავართ. იგი წარმოადგენს ფართოდ გაშლილ ეპიკურ ტილოს, რომელშიც ჩვენი ხალხის განვლილი გზა, წარსულის წარუშლელი ფურცელნი, სამამულო ომის ტრაგიკული დღეები, მშვიდობიანი მომავლისაკენ სწრაფვა არის ასახული.

სიმფონიის მესამე ნაწილის დასაწყისში — ფარული სკერცოს მონაკვეთში — ბრწყინვალე სორკესტრო ფერებით გადმოცემულია სიცოცხლისა და სიხარულის ზეიმი, ტრიუმფალური ფინალი კი დიდი საზეიმო სვლაა, რომელშიც ბრწყინვალე კულმინაციას აღწევს არა მარტო მთელი სიმფონიის მუსიკალური მასალის ფერადოვანი თემატური და დინამიკური განვითარება, არამედ თვით კომპოზიტორისა და შემსრულებლის მაღალი ოსტატობაც. ფინალის მთავარი სიტყვა რიტმია. საზოგადოდ სიმფონიის რიტმული ენერგია ისეთი დიდია, რომ ზოგჯერ სუნთქვა გვეკვრის და გვეჩვენება, რომ დინამიკის კვლავაც განუხრელი ზრდა უკვე შეუძლებელია, მაგრამ კომპოზიტორი მუსიკის ყოველ ახალ მონაკვეთში პოულობს ახალ ფერებს, რითაც განვითარების ლოგიკურობასა და დრამატურგიულ მთლიანობას აღწევს. ყოველივე ეს ისეთი რელიეფურია, რომ მიღწეულია სიმფონიის ყოველი ცალკეული ნაწილის განვითარება, ისინი თითქოს ერთ ამოსუნთქვაზეა დაწერილი.

შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონია კომპოზიტორის მორიგი შემოქმედებითი გამარჯვებაა, რომელშიც მან კიდევ ახალი ნაბიჯი გადადგა თანამედროვე სიმფონიური ხელოვნების სიმაღლეებისაკენ. სიმფონიის უაღრესად ეროვნული მუსიკალური ენა, თვითმყოფი, მშველიძისეული ხელწერა, ემოციური და კოლორიტული სილამაზე ამ ნაწარმოებს ქართული სიმფონიური მუსიკის საუკეთესო ნიმუშების რიგში აყენებს. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა **ლილე კილაძის** დირიჟორობით ღირსეულად გაიზიარა ახალი სიმფონიური ნაწარმოების გამარჯვება და პირველი შემსრულებლის ხვედრი.

ნატო მოისწრაფიშვილი,
მუსიკისმცოდნე.

საქართველოს აგიტატორი № 11

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების ჟურნალ „**საქართველოს აგიტატორის**“ მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **ჯ. მინდიაშვილი** — ექიმი; **გ. ქოქოლეი** — მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა — უმნიშვნელოვანესი ამოცანა; **კ. დოლიძე** — პოლიტინფორმატორი — პარტიის იდეური მებრძოლი; **მ. ჯანდარია**—ორდღიანი დასვენება და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა; **ი. ტაბიძე** — პლანტაციაში ცოცხალი სიტყვით; **ა. ქათამაძე** — როგორ ვამზადებდა ფატარეტ პოლიტინფორმაციას; **გ. ბედნიერიშვილი** — ბედნიერი თაობის დღისასწაული; ჯანმრთელობის სამსახურში; ტექნიკური ინფორმაციის ცენტრი; **გ. ღამბორაკიძე** — ეკონომიური ანალიზის ბიურო ავლენს ახალ რეზერვებს; ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა; **ი. ლორთქიფანიძე**— ქართული კულტურის ბრწყინვალე ძეგლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმაგი ტაბანი

**ბ. ბ. ბ.